სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი
51186958402519

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება
რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი
N190224396

რეგისტრაციის თარიღი
01.03.2019 წ

ნოტარიუსი: თეა მაღალდაძე
მისამართი: თბილისი, მტკვრის ქუჩა N6
ტელეფონი: 0322931887

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო
სანოტარო აქტი

ორი ათას ცხრამეტი წლის პირველ მარტს მე, თეა მაღალდაძეს, საქართველოს ნოტარიუსს, ჩემ სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: თბილისი, მტკვრის ქ. #6, შპს ,,სითისაით"-ის ს/ნ 405207547 დირექტორმა კობა ღურწკაიამ რომელმაც მოითხოვა მინდობილობის ტექსტის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება.

მე შევამოწმე კობა ღურწკაიას პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად კობა ღურწკაიამ [დაბ:12.12.1976 წელს, რეგ. მისამართზე: თბილისი, ილია ჭავჭავაძის II ჩიხი, N 5, ბინა 31, პ/ნ 19001001822, პ/მ 17IC03549, მოქმედების ვადა 24.10.2027 წელი] მომმართა.

მე შევამოწმე მისი უფლებამოსილება და ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მაქვს.

მე აგრეთვე შევამოწმე კობა ღურწკაიას უფლებამოსილება. კერძოდ ის ფაქტი, რომ იგი ნამდვილად არის შპს ,,სითისაით"-ის ს/ნ 405207547 დირექტორი თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო [არაკომერციული] იურიდიული პირების რეესტრიდან, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ი. აბაშიძის ქ., N 70 ,სადარბაზო 1, სართული 6, ბინა N26,; ელ. ფოსტა: info@cbsgroup.ge , საიდენტიფიკაციო კოდი: 405207547, სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B18198949, 22/11/2018 11:19:31, მარეგისტრირებელი ორგანო: სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო; სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი, თარიღი: 17/05/2017.

მე დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა, რის შემდეგაც შევადგინე რწმუნებულების/მინდობილობის ტექსტი. კობა ღურწკაიას წავუკითხე და განვუმარტე მინდობილობის შინაარში და მასზე ხელისმოწერის სამართლებრივი შედეგი. მან წაიკითხა, მოიწონა მინდობილობის ტექსტიდა მკაფიოდ და ნათლად განაცხადა, რომ მინდობილობის შინაარსი ზუსტად გამოხატავს მის ნებასა და სურვილს, რის შემდეგ ჩემი - ნოტარიუსის თანდასწრებით, პირადად მოაწერა ხელი ქვემოაღნიშნულ მინდობილობას:

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

მე, კობა ღურწკაია როგორც შპს ,,სითისაით"-ის ს/ნ 405207547 დირექტორი, რომელიც შემდეგში წოდებულია როგორც "მიმნდობი" ამ მინდობილობით ივანე სააკოვს [დაბ.28.06.1991წ. პ/ნ 01011071016] რომელიც შემდეგში წოდებულია როგორც "მინდობილი" მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება: ივანე სააკოვი უფლებამოსილია:

1. იყოს შპს ,,სითისაით"-ის ს/ნ 405207547 წარმომადგენელი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში, ასევე სხვა ნებისმიერ ორგანოში, განახორციელოს ყველა ქმედება, მათ შორის ხელი მოაწეროს და გაეცნოს დოკუმენტებს, დაესწროს სხდომებს მოიპოვოს ან/და წარადგინოს ყველა აუცილებელი დოკუმენტაცია/ინფორმაცია, რაც საჭიროა შპს ,,სითისაით"-ის ს/ნ 405207547 საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე ს/კ: 01.18.03.033.001, მის: ქ. თბილისი, შავთელის ქუჩა N13 ნაკვ. 33/1 სარეკლამო აბრის/ფირნიშის/წარწერის ან/და კონსტრუქციის განთავსებაზე თანხმობის, ნებართვის ან/და სხვა აუცილებელი დოკუმენტის მოსაპოვებლად;

2. ივანე სააკოვი პ/ნ: 01011071016, ასევე უფლებამოსილია თავად განსაზღვროს აბრის/ფირნიშის/წარწერის ან/და კონსტრუქციის დიზაინი, ფორმა და შინაარსი;

მინდობილობა გაცემულია ექვსი თვის ვადით.

მინდობილობა შედგენილია სამი თანაბარი ძალის იურიდიული მნიშვნელობის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი რჩება ჩემს სანოტარო ბიუროს არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა მიმნდობს. მინდობილობის იმ ეგზემპლარს რომელიც რჩება სანოტარო ბიუროს არქივში თან ერთვის:

1. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო [არაკომერციული] იურიდიული პირების რეესტრიდან;
2. წესდება/პარტნიორთა შეთანხმება ინახება სანოტარო ბიუროს არქივში.

გადახდილია სანოტარო საზღაური: "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის #507 დადგენილების [29.12.2011 წ.] 31 მუხლის საფუძველზე 10.00 ლარი. 39-ე მუხლის საფუძველზე 2.00 ლარი და საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის საფუძველზე დ.ღ.გ. 1.80 ლარი, ჯამში: 13.80 ლარი.

ხელმოწერა: კობა ღურწკაია

საქართველოს ნოტარიუსი
თეა მაღალდაძე